# 112-ის დროით

№39
ნოემბერი, 2016



რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე, მარიამ ნოზაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

**01** „112"-ის ოპერატორებს სარეზერვო დისპეტჩერად გადამზადების ტრენინგი ჩაუტარდათ .............................................. გვ.4

**02** გერმანელი სამართალდამცველები შსს-ს პროექტებს გაეცნენ .............................................. გვ.5

**03** შსს-ს ბელარუს ჟურნალისტთა დელეგაცია ეწვია .............................................. გვ.6

**04** შსს-ში ბავშვთა ძალადობის თემაზე შეხვედრა გაიმართა .............................................. გვ.7

**05** საჯარო სკოლების მოსწავლეები „112"-ს ესტუმრნენ .............................................. გვ..8-9

**06** კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები „112"-ის თანამშრომლებისთვის........................ გვ.10-14

**07** პოლიციის რობოტმა უცნაური მისია შეასრულა ....................... გვ.16

**08** შეეშინდა, რომ შობის ჯადოქრობა გაქრებოდა...................... გვ.14

# 01 „112"-ის ოპერატორებს სარეზერვო დისპეტჩერად გადამზადების ტრენინგი ჩაუტარდათ

22 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით „112"-ის სასწავლო ცენტრში ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგი „დისპეტჩერიზაციის საბაზისო კურსი ოპერატორებისათვის". სწავლების მიზანი იყო ოპერატიული მართვის სამმართველოს ოპერატორთა ჯგუფის დისპეტჩერად გადამზადება, დისპეტჩერების პროგრამის დეტალური შესწავლა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ტრენინგის ძირითადი საკითხები იყო: დისპეტჩერის პოზიციის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა/ანალიზი, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის დისპეტჩერიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა/ანალიზი, ბრიგადების მოძრაობისა და შესაბამისი ფილიალების ბაზებში მუშაობის პრინციპების დეტალური განხილვა, საპატრულო დისპეტჩერიზაციის განმასხვავებელი ფუნქციების შესწავლა.

სწავლებას უძღვებოდა ტრენერი, დავით ბუშელაშვილი, ხოლო საორგანიზაციო საკითხებში მას დახმარებას უწევდა ამავე სამსახურის ტრენერი ანა ცინცაძე. ტრენინგში 40 ოპერატორი მონაწილეობდა.












# 02 გერმანელი სამართალდამცველები შსს-ს პროექტებს გაეცნენ

2016 წლის 23 ნოემბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რაინლანდ-პფალცის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის წევრები, საქართველოს შს სამინისტროში ვიზიტის ფარგლებში, უწყებაში განხორციელებულ პროექტებსა და მიმდინარე რეფორმებს გაეცნენ.

დელეგაციის წევრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რაინლანდ-პფალცის ფედერალური მიწის პოლიციის უფროსი იურგენ შმიტი, კრიმინალური პოლიციის სამსახურის პრეზიდენტი იოჰანეს კუნცი, პოლიციის აკადემიის რექტორი ფრიდელ დურბენი და პოლიციის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მონაცემთა დაცვის სამმართველოს CEPOL-თან ერთიანული კოორდინაციის განყოფილების წარმომადგენელი, დოქტორი რიტა ვირერი შსს-ს „112"-ს ეწვივნენ და მუშაობის სპეციფიკას გაეცვნენ.

გერმანიის დელეგაცია ასევე შსს-ს აკადემიას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ეწვია. სტუმრებმა საპატრულო პოლიციის ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს და ქართველი სამართალდამცველების ყოველდღიურ საქმიანობას გაეცნენ.

გერმანელმა სამართალდამცველებმა შსს-ს აკადემიის ინფრასტრუქტურა, სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, რეალური და ვირტუალური ტირები დაათვალიერეს.

აკადემიის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, მხარეები ორმხრივი ვიზიტების და სამართალდამცველთა განათლების მიმართულებით ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.



# 03 შსს-ს ბელარუს ჟურნალისტთა დელეგაცია ეწვია

2016 წლის 22 ნოემბერს, შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა ბელარუს ჟურნალისტთა დელეგაციას უმასპინძლა. დელეგაციის შემადგენლობაში ბელარუსის ტელევიზიებისა და პრესის ჟურნალისტები იყვნენ. შეხვედრაზე შალვა ხუციშვილმა დელეგაციის წევრებს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობაზე, უწყებაში დაგეგმილ პროექტებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე ესაუბრა.

ბელარუსი ჟურნალისტები საქართველოს შს სამინისტროში წარმატებით განხორციელებული და მიმდინარე რეფორმებით, განსაკუთრებით - ახლადშექმნილი ერთობლივი ოპერაციების ცენტრით დაინტერესდნენ. შს მინისტრის მოადგილემ სტუმრებს გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით სამინისტროში დაწყებული ახალი პროექტი - „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა" გააცნო, რომელსაც შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი ახორციელებს.

*ახალი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, პოლიციის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში, ვიდეოანალიტიკური პროგრამებით აღჭურვილი ე.წ. „ჭკვიანი კამერების" დამონტაჟება, მათი ჩართვა შს სამინისტროს ერთიან ქსელში და ერთობლივი ოპერაციების ცენტრის მიერ ვიდეოანალიტიკური პროგრამების გამოყენებით აღნიშნული კამერების უწყვეტი მონიტორინგი. პროექტის მიზანია პოლიციის საქმიანობაში მაღალი ტექნოლოგიების როლის გაზრდა და დანაშაულის პრევენციის გაუმჯობესება. ერთობლივი ოპერაციების ცენტრი შსს-ს ტექნოლოგიების ცენტრალიზებულ ჰაბს წარმოადგენს. იგი დანაშაულის პრევენციას, მომხდარ დანაშაულზე ოპერატიულ რეაგირებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენასა და აღკვეთას შეუწყობს ხელს.*

შეხვედრის დასასრულს, უცხოელმა სტუმრებმა საპატრულო პოლიციის ავტომანქანები და პატრულ-ინსპექტორების აღჭურვილობა დაათვალიერეს.

**ბელარუსი ჟურნალისტები შსს-ს „112"-ს ეწვივნენ. ისინი „112"-ის მუშაობის სპეციფიკას, ცენტრის სერვისებსა და ინოვაციურ პროექტებს გაეცნენ.**







# 04

## შსს-ში ბავშვთა ძალადობის თემაზე შეხვედრა გაიმართა

2016 წლის 19 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ბავშვთა ძალადობისგან და სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის დღესთან დაკავშირებით, შსს-ში მოზარდებთან შეხვედრა გაიმართა.

საინფორმაციო-შემეცნებით შეხვედრაზე შსს-ს წარმომადგენლები ბავშვებს ძალადობის ფორმების, მათ შორის, ბულინგის, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის საფრთხეების, სხვადასხვა მძიმე დანაშაულის და მათი პრევენციის, ასევე, ძალადობისგან დაცვის არსებული მექანიზმების შესახებ ესაუბრნენ.

სამართალდამცველებმა ისეთი დანაშაულებიც განიხილეს, სადაც, შესაძლოა, ბავშვები ჩართული იყვნენ, როგორც დაზარალებულები ან მოწმეები.

შსს-ს „112“-ის წარმომადგენელმა, მარიამ ნოზაძემ მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის - 112-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

ასევე, ბავშვებს მიეწოდათ ინფორმაცია საკონსულტაციო ცხელი ხაზის - 116 006-ის თაობაზე.

შსს-ს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა სტუმრებს კიბერდანაშაულის საფრთხეები გააცნო და ინტერნეტით უსაფრთხოდ სარგებლობლობის შესახებ რჩევები მისცა. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი კი მოზარდებს ბავშვთა უფლებებისა და მათი დაცვის ინსტრუმენტების შესახებ ესაუბრა. შეხვედრის მონაწილეებმა ბავშვების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

შეხვედრაზე მოზარდებს შსს-ს მიერ ძალადობის წინააღმდეგ დაწყებული სოციალური კამპანია „ძალა ნდობას“ გააცნეს, მის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ და განუმარტეს, რომ კანონით ყველა სახის ძალადობა ისჯება.

შსს-ს წარმომადგენლებმა ბავშვებს კამპანიის ფარგლებში დამზადებული სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს და ევროსაბჭოს მიერ ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული ვიდეორგოლები უჩვენეს. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საერთაშორისო დღეს ევროპის საბჭოს „ლანზაროტეს კონვენციის“ წევრი ქვეყნები ყოველი წლის 18 ნოემბერს აღნიშნავენ.



# 05 საჯარო სკოლების მოსწავლეები „112“-ს ესტუმრნენ

2016 წლის 31 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში, მე-9 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ.

პროექტის ფარგლებში „112“-მა, როგორც თბილისის, ასევე რეგიონის საჯარო სკოლებს უმასპინძლა. კერძოდ, თბილისის კლასიკური გიმნაზია, პირველი ექსპერიმენტული და 26-ე, მე-14, 131-ე საჯარო სკოლები, ასევე ქ. მარნეულის მე-3 საჯარო სკოლა, ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მუღანლოს საჯარო სკოლა და ქალაქ რუსთავის მე-18 საჯარო სკოლა.

აღნიშნული ვიზიტები შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა.

პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. ასევე, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.

ვიზიტის ფარგლებში, ახალგაზრდებმა დაათვალიერეს „112“-ის ქოლ-ცენტრი, ადგილზე გაეცნენ სამსახურისა და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას. სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში.

ასევე, მოზარდებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ „112“-ზე. გაიგეს, რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი „112“-ზე დარეკვით.

ვიზიტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებმა სამსახურის წარმომადგენლებისგან შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია ცრუ ზარის განხორციელება „112“-ზე და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ აქტიურ ფაზაშია შესული და ხორციელდება როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების საჯარო სკოლებში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში.









# 06 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები „112"-ის თანამშრომლებისთვის

ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში 2016 წლის 24 ოქტომბრიდან, ერთი თვის განმავლობაში პროექტის მართვის კურსი განხორციელდა, რომელიც სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ჩატარდა. ტრენინგს „112"-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსის მოადგილე თეო ბარაბაძე ესწრებოდა. ტრენინგს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის MDF-ის მიერ სერტიფიცირებული ტრენერი ნიკა მალაზონია უძღვებოდა.

პროექტის მართვის მოდული მოიცავდა პროექტის ინიცირების, დაგეგმვისა და ეფექტურად მართვის ინსტრუმენტებს, მეთოდებსა და ტექნიკებს. მონაწილეებმა ისწავლეს, თუ როგორ მოიყვანონ შესაბამის ფორმაში და მართონ პროექტის ყველა ძირითადი კომპონენტი, მათ შორის არსი, ხარჯი, დრო, რისკები და რესურსები.

აღნიშნული თემატიკის ფარგლებში, სხვადასხვა სავარჯიშოს შესრულების გზით პარალელურად მოხდა ტრენინგის მონაწილეების მენეჯერული და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება. ტრენინგის პირველივე სესიაზე შეირჩა კონკრეტული ქეისები, რომლებიც შემდგომ დეტალურად გაშალეს მონაწილეებმა და სხვადასხვა ინსტრუმენტები მოარგეს. მონაწილეები ასევე დაეუფლნენ პროექტების მართვის პროგრამას - Microsoft Project, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად შექმნან და ეფექტურად მართონ პროექტები.



-„ტრენინგი ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ აქამდეც მიმუშავია სხვადასხვა პროექტზე, მაინც ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება მივიღე. ტრენინგზე პრაქტიკულად ვახორციელებდით მიღებულ ცოდნას, ვმუშაობდით ჯგუფებად, შემდეგ განვიხილავდით ინდივიდუალურად თითოეულ ქეისს და ვმსჯელობდით, რა იყო სწორი და რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად.

დარწმუნებული ვარ, მიღებული გამოცდილება ძალიან გამომადგება ჩემს ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში" - განაცხადა თეო ბარაბაძემ.



მიმდინარე წლის 7-11 ნოემბერს, აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ქალთა ლიდერობის უნარ-ჩვევების გაძლიერება“. კურსს შსს სსიპ „112“-დან ოპერატიული მართვის სამმართველოს რუსთავის ცენტრის უფროსი მარიამ ჭიკაიძე ესწრებოდა. კურსზე განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ლიდერ პოზიციაზე გადაწყვეტილების მიღების სირთულეები, ლიდერობის უნარი, პერსონალური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და სხვა.

-„პირველ რიგში შევხვდი ადამიანებს, ვისაც ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდა და ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღე. გავიგე ადამიანების ტიპები და მათთან ინდივიდუალური მიდგომები, რაც მენეჯერს აუცილებლად გამოადგება კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის." - განაცხადა მარიამ ჭიკაიძემ.




მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან - 10 ნოემბრამდე, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, „112“-ის ინსპექტირების სამსახურის უფროსი გიორგი მესაბლიშვილი და ინსპექტირების სამსახურის დისციპლინის კონტროლის განყოფილების უფროსი რობი კინწურაშვილი ესწრებოდნენ შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგს საჯარო მოხელეებისათვის.

ტრენინგის ჩატარების მიზანი იყო საშუალო და მაღალი რგოლის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. ორივე მონაწილეს, GIPA-ს მიერ, გადაეცა შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

-„პირადად ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მონიტორინგისა და შეფასების კუთხით ცოდნის გაღრმავება და პროფესიული განვითარება, რომელიც უშუალო კავშირშია ჩემს სამსახურებრივ საქმიანობასთან. ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, ინსპექტირების სამსახური კიდევ უფრო გააუმჯობესებს დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხს, რათა საბოლოო ჯამში უფრო სრულყოფილი სერვისი მიიღონ ჩვენმა მოქალაქეებმა მაშინ, როცა წამები გადამწყვეტია“ - განაცხადა გიორგი მესაბლიშვილმა.




-„აღნიშნულ ტრენინგზე სხვადასხვა ფორმით ხდებოდა მონიტორინგის ფორმების განხილვა. კურსი მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხითაც, რომ მონაწილეობას სხვადასხვა უწყების საჯარო მოხელეები იღებდნენ. ხშირად გვქონდა ერთობლივი პროექტები და გუნდური სამუშაოები. საერთო ჯამში, აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ, ყოველდღიურ საქმიანობაში, მნიშვნელოვნად გამიმარტივდა გრძელვადიანი მონიტორინგის წარმოება." - განაცხადა რობი კინწურაშვილმა.

შესყიდვების სფეროში ძირითადად იურისტები ან ეკონომისტები არიან დასაქმებული, რადგან საქართველოში არცერთი ინსტიტუტი არ გასცემს კონკრეტულად ამ პროფილით დიპლომს. აქედან გამომდინარე, ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის შესყიდვების სააგენტოს ინიციატივით ჩატარდა ტრენინგების კურსი. „112“-ის საფინანსო-ლოჯისტიკის სამსახურის ორმა თანამშრომელმა, თეონა დანელიამ და თინიკო შუბითიძე-იმერლიშვილმა წარმატებით გაიარეს ტრენინგი და გადაეცათ სერტიფიკატები.

ტრენინგი 2 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და კურსი ძირითადად თეორიული მასალისგან შედგებოდა, თუმცა ინტერაქტიული ხასიათსაც ატარებდა, რადგან მონაწილეებს უამრავი კითხვა ჰქონდათ, რაზეც ამომწურავად პასუხობდნენ ტრენერები.





-„მე პროფესიით იურისტი ვარ, თუმცა 10 წელია შესყიდვებში ვმუშაობ.

ტრენინგი ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, რადგან ჩემს საქმიანობაში უამრავი პრაქტიკული ნიუანსია, რომლებიც არსად არ არის გაწერილი და მინდა ხოლმე გადამოწმება, კანონმდებლობას კარგად ვიცნობ, შესაბამისად მის საფუძველზეც ვმოქმედებ, მაგრამ ხშირად ეს არაა საკმარისი." - განაცხადა თინიკო შუბითიძე-იმერლიშვილმა.

-„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გავიარე ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“, რომელიც მიზნად ისახავდა ამ სფეროში დასაქმებული სპეციალისტების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

მინდა აღვნიშნო, რომ ტრენინგი ძალიან ეფექტური და პროდუქტიული აღმოჩნდა თითოეული მონაწილესთვის, რადგან სასწავლო ცენტრში ყველა პირობაა იმისათვის, რომ ხანმოკლე კურსის პირობებში მიღწეულ იქნას მაქსიმალური შედეგი.“ - განცხადა თეო დანელიამ.

შსს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობითა და ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე წელს, კახეთში, სასტუმრო „ლოპოტაზე“ შს სამინისტროს იურისტი თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგის ციკლი ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში. ტრენინგს „112“-დან ადმინისტრაციის იურისტი ჯული ყოჩიაშვილი ესწრებოდა.

-„კურსს უძღვებოდა ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, მოსამართლე ნათია წკეპლაძე, რომელიც შეეცადა ამ მოკლე დროში მაქსიმალური ინფორმაცია მოეწოდებინა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკაში არსებული საინტერესო და კაზუსური საკითხების შესახებ.“ - განაცხადა ჯული ყოჩიაშვილმა.





მიმდინარე წლის 4-28 დეკემბერს, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაშავის ცენტრის ორგანიზებით, ისრაელში, ქ. იერუსალიმში ტარდება კურსი „პოლიცია და საზოგადოება". წინასწარ გამოცხადებული კონკურსის შესაბამისად, კურსს „112"-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ნანა ჟუფუნია დაესწრება. კურსის ფარგლებში განხილული იქნება არაერთი საინტერესო საკითხი ისრაელის პოლიციის მუშაობასთან დაკავშირებით, მათ შორის: ისრაელის პოლიციის სისტემის გაცნობა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მუშაობის სპეციფიკა, პოლიციის და საზოგადოების თანამშრომლობის მოდელები, კადრების შერჩევა, მომზადება, სასწავლო ცენტრებთან მუშაობის სპეციფიკა და ა.შ. კურსი მოიცავს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და სასწავლო-გაცნობითი ხასიათის ვიზიტებს ისრაელის პოლიციის სისტემის სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათ შორის სასწავლო ცენტრებში.

-„ვინაიდან კურსს პოლიცია და საზოგადოება ქვია, „112"-ისთვის ამ კურსში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეულ შემთხვევებში სწორედ „112" არის დამაკავშირებელი რგოლი პოლიციასა და საზოგადოებას შორის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისრაელის პრაქტიკის გაცნობა. ასევე, ჩემთვის მნიშვნელოვანია მათი სასწავლო ცენტრების მონახულება და მათი მუშაობის სპეციფიკის გაცნობა." - განაცხადა ნანა ჟუფუნიამ.

ეს საინტერესოა...

# 07 პოლიციის რობოტმა უცნაური მისია შეასრულა

ავსტრალიაში, სიდნეის ერთ-ერთ კვარტალში, გვირაბის მშენებლობის გამო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა. 47 მაცხოვრებელი სასწრაფოდ ევაკუირებულ იქნა, მაგრამ კარენ ბრიუსის ბინაში მისი საყვარელი ავსტრალიური თუთიყუში - ტვიტი (Tweety) დარჩა.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პოლიციამ შენობის ნანგრევებში შესვლა აკრძალა. ორი დღე-ღამის განმავლობაში თუთიყუშის გამოყვანა ვერავინ შეძლო, ბოლოს გადაწყვიტეს განაღმვისთვის განკუთვნილი, დისტანციური მართვის პოლიციის რობოტი „ციკლოპი“ უცნაური დავალების შესრულებისთვის გამოეყენებინათ. თუთიყუშის გადარჩენის ოპერაციას მთელი ავსტრალია ადევნებდა თვალყურს.

პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ საბოლოოდ მანქანა გამოგორდა შენობიდან და ტვიტი თავისი გალიით გარეთ გამოაბრძანა.

გახარებულმა ქალბატონმა ბრიუსმა, რომელმაც მთელი ქონება დაკარგა ამ შემთხვევის გამო, თუთიყუშის დაბრუნებას „სასწაული“ უწოდა და გახარებულმა ვეტერინართან წაიყვანა საყვარელი ფრინველი.





## 08 შეეშინდა, რომ შობის ჯადოქრობა გაქრებოდა...

შვიდი წლის იზაბელ ლა-პერტუა ბურთით თამაშობდა და შემთხვევით თაროდან ზღაპრული ელფის ფიგურა გადმოუვარდა. ბავშვმა ფიგურა აიღო, რომ თავის ადგილას დაებრუნებინა. შემდეგ კი ანერვიულებულმა 911-ზე დარეკა...

როგორც აღმოჩნდა, გოგონას სჯერა ერთ-ერთი თქმულების, რომლის მიხედვითაც, თუ ზღაპრულ ელფს შეეხები, შობის მთელი მაგია გაქრება.

ადგილზე მისულ პოლიციელებს ბავშვი ნამტირალევი და ცრემლიანი დახვდათ. მშობლებმა და პოლიციის თანამშრომლებმა ძლივს შეძლეს განერვიულებული ბავშვის დამშვიდება. გოგონამ ბოდიში მოიხადა და პირობა მისცა პოლიციელებს, რომ 911-ზე არამიზნობრივად აღარ დარეკავდა.








112

www.112.gov.ge